N 453-49
23/05/2016

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეებელს
ბ-ნ კობა ლურსმანაშვილს
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის
ვლადიმერ გელაშვილის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 დეკემბრის N 43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 მაისის N 803 განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში შემცირდა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 2 364 578 (ორი მილიონ სამას სამოცდაოთხი ათას ხუთას სამოცდათვრამეტი) ლარი 425 899 (ოთხასოცდახუთი ათას რვაასოთხმოცდაცხრამეტი) ლარით და განისაზღვრა 1 938 679 (ერთი მილიონ ცხრაასოცდათვრამეტი ათას ექვსასსამოცდაცხრამეტი) ლარით. საბოლოოდ განისაზღვრა:

გზების რეაბილიტაცია 1 651 287 ლარი, მათ შორის:

- უბისა-ღორეშის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, სოფელ უბისის საავტომობილო ხიდიდან სოფელ ღორეშის ადმინისტრაციულ ცენტრამდე 911 824 ლარი;
- ხარაგაული-ბაზალეთის გზის რეაბილიტაცია ადმინისტრაციული ცენტრიდან სოფელ ღარიხევის გადასახვევამდე 218 736 ლარი;
- გზის დამცავი კედელების მოწყობა 103 290 ლარი;
- სოფელ გედსამანიის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (სკოლამდე) 417 437 ლარი

საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია - 287 392 ლარი, მათ შორის:

- დაბის N 2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია 94 999 ლარი;

- სოფელ ხევის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია 66 660 ლარი;
- სოფლებში ღორეშა, წიფა და მოლითის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია 125 733 ლარი.

2. ა(ა)იპ -ების მიერ წარმოდგენილი მოთხოვნების საფუძველზე სხვადასხვა გაუთვალისწინებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად დამატებით საჭიროა 36,0 ათასი ლარი, ვინაიდან მუნიციპალიტეტს არ გააჩნია თავისუფალი სახსრები, აღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად სოფლის მხარდამჭერი პროგრამის თანადაფინანსებისათვის გამოყოფილი სახსრებიდან გადატანილი იქნას 36, 0 ათასი ლარი და მიიმართოს : ა(ა)იპ ,,ხარაგაულდასუფთავება" 7,0 ათასი ლარი; ა(ა)იპ სამუსიკო სკოლა 6,5 ათასი ლარი; ა(ა) იპ კულტურის ცენტრი 13,0 ათასი ლარი; ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი - 4,0 ათასი ლარი; ა(ა)იპ ხალხური შემოქმედების სახლი 1,0 ათასი ლარი; ა(ა)იპ სათნოების სახლი 3,0 ათასი ლარი და ა(ა)იპ ლიტერატურული თეატრი 1,5 ათასი ლარი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში 9661,0 ათასი ლარი შემცირდეს 425,9 ათასი ლარით და განისაზღვროს 9235,1 ათასი ლარით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერის ხარჯზე. ასევე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი ხარჯების ნაწილში 10 098,7 ათასი ლარი შემცირდეს 425,9 ათასი ლარით და განისაზღვროს 9672,8 ათასი ლარით;

ვლადიმერ გელაშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი